



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

№1გ-714-14

ქ.თბილისი
23 ივლისი 2014წ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე

მანუჩარ კაპანაძემ

ქეთევან მინდიაშვილის მდივნობით,
პროკურორ - გ. ო.-ს,
ადვოკატ - ი. შ.-ს,
თარჯიმან - ი. მ.-ს,
ბრალდებულ - ა. ო.-ს მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე
ბრალდებულ ა. ო.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების - გირაოს შერჩევის შესახებ
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის 2014 წლის 20 ივლისის განჩინებაზე, ისანი-სამგორის
რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. წ.-ს მიერ შეტანილი საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

ქ.თბილისის შსს ისანი-სამგორის სამმართველოს მეცხრე განყოფილების
წარმომადგენელი სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმე, ა. ო.-ს მიმართ, დანაშაული
გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

საქმის მასალების მიხედვით, ა. ო.-ს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაული
გამოიხატა შემდეგში:

2014 წლის 17 ივლისს, დაახლოებით 12:00 საათზე, ფონიჭალა-3, მე-XX კორპუსის
მიმდებარედ არსებულ ავტობუსების გაჩერებაზე, ა. ზ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას
გადაწყვიტა რა ავტობუსის მძღოლ ვ. ე.-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სახის არეში
ხელი ძლიერად დაარტყა მას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ასფალტზე დაეცა და
ადგილზე გარდაიცვალა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ა. ო.-ს 2014 წლის 19 ივლისს წარედგინა
ბრალდება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის
ჩადენისათვის (იხ: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის 2014 წლის 20 ივლისის განჩინებით, ცვლილებით
დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულ ა. ო.-ს აღკვეთის



ღონისძიების სახით შეერჩა გირაო 7000 (შვიდიათასი) ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით და გირაოს თანხის შეტანის ვადად განესაზღვრა 10 (ათი) დღე.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გასაჩივრა ისანი-სამგორის რაიონული პროკურორის მოადგილემ **ზ. წ.-მ**.

პროკურორი საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის 2014 წლის 20 ივლისის განჩინების გაუქმებას და ბრალდებულ **ა. ო.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს. გამომდინარე იქედან, რომ ბრალდებულ **ა. ო.-ს** მიმართ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას, ბრალდებული შესაძლოა მიემალოს გამოძიებასა და სასამართლოს, რითაც ხელი შეეშლება მართლმსაჯულების განხორციელებას. გარდა ამისა, მტკიცებულებების შეკრების შემდეგ წარდგენილი ბრალდება შესაძლოა დამძიმდეს, რაც კიდევ უფრო ზრდის მიმალვის რისკებს. სასამართლომ არ გაითვალისწინა და სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ბრალდებული პოლიციაში გამოცხადდა როგორც დაზარალებული, ვითომდა მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა და ამ გზით შეეცადა პასუხისმგებლობის არიდებას. საქმეზე მიმდინარეობს აქტიური საგამომიებო მოქმედებები, დასადგენი და დასაკითხია ფაქტის შემსწრე მოწმეები. თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში კი ბრალდებულის მხრიდან შესაძლებელია მათზე განხორციელდეს ზეწოლა, რაც ხელს შეუშლის გამოძიებას სრული და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში.

პროკურორის განმარტებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ როგორც ირკვევა, ბრალდებული სარგებლობს სხვადასხვა პირადობის მოწმობით, სხვადასხვა პირადი ნომრით და სხვადასხვა სახელით, რაც ზრდის მისი მიმალვის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი **ზ. წ.** ითხოვს ბრალდებულ **ა. ო.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას (იხ. საჩივარი).

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა **გ. ო.-მ** მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

ადვოკატმა **ი. შ.-მ** და ბრალდებულმა **ა. ო.-მ** მხარი არ დაუჭირეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვების თაობაზე.

მოისმინა და განიხილა რა საჩივრის საფუძვლიანობა, მხარეთა მოსაზრებები, სისხლის სამართლის საქმისა და სასამართლო წარმოების მასალები, სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ საქმის მასალების მიხედვით, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებში მითითებული მტკიცებულებებისა და სხვა მასალების შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, სახეზეა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის. მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრებისა დაშვებული არ ყოფილა ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევები, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას. **ა. ო.-ს** დაკავება განხორციელა უფლებამოსილმა პირმა



კანონით დადგენილი წესით და საფუძვლით; დაკავებული კანონით დადგენილ ვადაში ცნობილი იქნა ბრალდებულად და კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარედგინა უფლებამოსილ სასამართლოს.

საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ ი. შ.-ს მიერ გაკეთებულ განმარტებასთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ ბრალდებულ ა. ო.-ს ბრალდებულად ცნობის დროს დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ, ვინაიდან სახეზე არ იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, არ არსებობდა ბრალდების საფუძველი. საგამოძიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატის აღნიშნულ არგუმენტაციას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ ერთი, დაცვის მხარე თავისი მოთხოვნით წინააღმდეგობაში მოდის თავისივე არგუმენტაციასთან, ვინაიდან თუკი არ არსებობს პირის ბრალდების საფუძველი, შესაბამისად, არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველიც. დაცვის მხარე კი დასაშვებად მიიჩნევს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვებას და ბრალდებულ ა. ო.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას, ხოლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის მოთხოვნით დაცვის მხარეს სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღნიშნა, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისად, სახეზეა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის. ამასთან, საგამოძიებო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, არ არის უფლებამოსილი მოიპოვოს ბრალდების დამადასტურებელი, ან უარყოფელი გარემოებების შესახებ ახალი მტკიცებულებები, განიხილოს და, მითუმეტეს, მიიღოს გადაწყვეტილება ბრალეულობის საკითხზე. შესაბამისად, ბრალთან და კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვის ეტაპზე სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს და გამოძიების მწარმოებელ ორგანოს მითითებას ვერ მისცემს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შერჩევას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მხედველობაში არ იქნა მიღებული ყველა ის მტკიცებულება და გარემოება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების მართლზომიერებაზე, კერძოდ:

სსსკ-ის 198-ე მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას მხარეები და სასამართლო ითვალისწინებენ ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ზიანს და სხვა. მოცემულ შემთხვევაში სავსებით საფუძვლიანია პროკურორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევას არ იქნა გათვალისწინებული და სათანადოდ შეფასებული ყველა აღნიშნული გარემოება. სასამართლო ბრალდებულ ა. ო.-ს მიმართ არასაპატიმრო სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ძირითადად ასაბუთებს იმით, რომ ბრალდებული ნებაყოფლობით გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და შემოსავალი. გარდა ამისა, საგამოძიებო კოლეგია მხედველობაში იღებს ბრალდებულის პიროვნებასთან და საქმის ფაქტობრივ და საპროცესო გარემოებებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც.



სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. მას შემდეგ, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეული იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი თანახმად, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულ ა. ო.-ს მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა საკმარისად დასაბუთებულია, რადგან სახეზეა მოსალოდნელი სასჯელისაგან თავის არიდებისა და გამოძიების სრულყოფილად ჩატარებაში ხელშეშლის საფრთხეები. კერძოდ: ა. ო.-ს გამოძიება ედავება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაულის ჩადენას; მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით იგი შესაძლოა შეეცადოს მიმალვას და ხელი შეუშალოს სრული და ობიექტური გამოძიების წარმოებას, ასევე განაჩენის აღსრულებას. აღნიშნულ ვარაუდს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ბრალდებული ფლობს სხვადასხვა გვარით და სხვადასხვა სახელით აღებულ პასპორტებს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია თავისუფლად შეძლოს მიმალვა.

გარდა ამისა, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, გამოძიების საწყის ეტაპზე ბრალდებული გამოცხადდა პოლიციაში როგორც დაზარალებული, სადაც განმარტა, რომ ავტობუსის მძღოლმა მასზე განახორციელა ფიზიკური ძალადობა და მოითხოვა შესაბამისი რეაგირება. ამ კუთხით მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და დასადგენია, მართლაც ქონთა თუ არა ადგილი აღნიშნულ ფაქტს, თუ ბრალდებული შეგნებულად შეეცადა გამოძიების შეცდომაში შეყვანას მოსალოდნელი პასუხისმგებლობის აცილების მიზნით. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დასადგენია ავტობუსის მგზავრთა ვინაობები, რათა მოხდეს მათი მოწმის სახით დაკითხვა, დანიშნულია სხვადასხვა ექსპერტიზები, მოსაპოვებელია დამატებითი მტკიცებულებები, თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში კი შესაძლებელია ბრალდებული შეეცადოს დანაშაულის ჩადენაში მის მამხილებელ მტკიცებულებებზე ზემოქმედებას ან გაანადგუროს მომავალში მოსაპოვებელი მტკიცებულებები, რაც აუცილებლად იმოქმედებს გამოძიებაზე საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საჯარო ინტერესის საზიანოდ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით, არსებობს საკმარისი საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლები ბრალდებულ ა. ო.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების - დაპატიმრების გამოყენებისათვის, ვინაიდან სახეზეა საფუძვლიანი ვარაუდი ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებებზე ზემოქმედების თაობაზე, ასევე არ არის გამორიცხული მიმალვისა და გამოძიებისათვის სხვაგვარად ხელშეშლის საფრთხეც. მართალია, საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე, ქმედების ხასიათი ან მიმალვის ვარაუდი ცალკეულ შემთხვევებში არ არის გადამწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას, მაგრამ ერთობლიობაში და საქმის სხვა არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებაზე.



ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ არასაპატიმრო სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებით სავსებით შესაძლებელი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის მიღწევა. პროკურორის საჩივარი კი დასაბუთებულია, უნდა დაკმაყოფილდეს და ბრალდებულ ა. ო.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეერჩეს დაპატიმრება.

სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 198-ე, 205-207-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა :

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ **ზ. წ.-ს** საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის 2014 წლის 20 ივლისის განჩინება - ბრალდებულ **ა. ო.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 7 000 ლარის ოდენობით გირაოს შერჩევისა და გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდების შესახებ;

3. ბრალდებულ **ა. ო.-ს** (დაბადებული 1988 წლის **XX** თებერვალს) მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნეს პატიმრობა;

4. ბრალდებულ **ა. ო.-ს** პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2014 წლის 18 ივლისიდან;

5. ბრალდებული **ა. ო.** მოთავსებული იქნეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ს/ა დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში;

6. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის 2014 წლის 20 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი;

7. განჩინება (ასლები) შესასრულებლად და ცნობისათვის გაეგზავნოთ და გადაეცეთ სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

8. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე:

მანუჩარ კაპანაძე